P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X
https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9293
ლიცენზია: CC BY-SA

ლია აბლოთია*

სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის თავისებურებები

სპეციალიზებული სასამართლოები სპეციალიზაციის უმაღლესი გამოვლინებაა. ამ ტიპის სასამართლოების შექმნასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში მრავალი განსხვავებული პოზიცია და მიდგომა არსებობს. თუმცა, მეცნიერთა უმეტესობა და მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც რეკომენდაციას უწევს სპეციალიზებული სასამართლოების შექმნას, რადგან ადამიანის უფლებათა დაცვის აღნიშნული მექანიზმი უზრუნველჰყოფს სახელმწიფოში მართლმსაჯულების მაღალ ხარისხს და სასამართლო სისტემის მეტ ეფექტიანობას. სტატიის ძირითადი ნაწილი ეხება სპეციალიზებული სასამართლოების შექმნასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და თავისებურებების ანალიზს. სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის შესახებ ყოველი სახელმწიფო საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე იღებს სპეციალური კრიტერიუმების გათვალისწინებით, კერძოდ – სამართლის სფერო, რომელი მიმართულებითაც სპეციალიზებული სასამართლო იქმნება უნდა იყოს რთული, სპეციფიკური ან/და სენსიტიური; გარდა ამისა, აღნიშნული სამართლებრივი მიმართულებით სახელმწიფო უნდა იდგეს გამოწვევების წინაშე და უნდა არსებობდეს სასამართლოში მაღალი მიმართვიანობა. ავტორი მსჯელობს სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითზე, განიხილავს გერმანულ, ამერიკულ და ფრანგულ მოდელებს. შემდეგ კი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე სტატიაში წარმოდგენილია საქართველოსთვის სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის შესაძლო მოდელი და გაანალიზებულია ის საკანონმდებლო, საკადრო, სისტემური თუ სხვა ტიპის რეფორმები, რომელთა გატარებაც აუცილებელი იქნება. სტატიაში განხილულია საქართველოს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით იმ სპეციალიზებულ სასამართლოთა სახეებიც, რომლებიც შესაძლოა შეიქმნას.

საკვანძო სიტყვები: *სპეციალიზებული სასამართლოები, სპეციალიზაცია, სპეციალიზებული მოსამართლეები, სასამართლო სისტემის ეფექტიანობა.*

1. შესავალი

სპეციალიზებული სასამართლოები ბევრ სახელმწიფოში შექმნილია, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველმყოფი ქმედითი მექანიზმი. სპეციალიზებული სასამართლოები დარგობრივ მართლმსაჯულებას ახორციელებენ, შესაბამიად კონკრეტული უფლების დაცვა უფრო ხელშესახები ხდება სათანადო სუბიექტისთვის. სახელმწიფოები ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე იღებენ კონკრეტული ტიპის სპეციალიზაციის ან სპეციალიზებული სასამართლოს შექმნის გადაწყვეტილებას. ქართულ სამართლებრივ სივრცეში სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი ფაქტობრივად შეუსწავლელია (მცირე გამონაკლისების გარდა). აღნიშნული თემის აქტუალურობასაც ერთი მხრივ, სწორედ ის ფაქტორი განაპირობებს, რომ მასთან დაკავშირებით ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება და არ არსებობს რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა, ხოლო მეორე მხრივ ის – რომ თავად სპეციალიზებული სასამართლოების საკითხი ძალიან ახალია საქართველოსთვის და მათი შექმნა, შესაძლოა,

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდეს მართლმსაჯულების სისტემის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, აუცილებელია ამ თემის სიღრმისეული ანალიზი.

სტატიაში განხილულია სპეციალიზებულ სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული თეორიები, უპირატესობები და კრიტერიუმები. აგრეთვე, წარმოდგენილია რელევანტური მაგალითები საზღვარგარეთული პრაქტიკიდან. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია საზღვარგარეთის ქვეყნებში დამკვიდრებული სპეციალიზებული სასამართლოების საუკეთესო პრაქტიკის გააანალიზების საფუძველზე საქართველოში ამ ტიპის სასამართლოების დამკვიდრების პერსპექტივების შეფასება და ცვლილებების იმპლემენტაციისთვის აუცილებელი გასატარებელი ღონისძიებების გაანალიზება.

2. სპეციალიზებული სასამართლოების თავისებურებები

2.1. სპეციალიზებული სასამართლოების არსი

ზოგადად, სპეციალიზაცია ნიშნავს სპეციფიკურ საგანს, რომელსაც ერწყმის შესაბამისი საგნის ექსპერტულ დონეზე ცოდნა.[1] სპეციალიალიზაცია ნიშნავს, რომ მოსამართლეებს აქვს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება სამართლის კონკრეტულ დარგში.[2] უფრო კონკრეტულად, ზოგიერთი ტიპის საქმე მოითხოვს განსხვავებულ, სპეციფიკურ ცოდნას/მიდგომას და ზოგჯერ, მის განცალკევებით, სხვა ტიპის საქმეებისგან იზოლირებულად განხილვასაც კი. სპეციალიზაცია გრადუალურია და რამოდენიმე მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს. სპეციალიზაციის ყველაზე დაბალი დონეა ინდივიდუალური სპეციალიზებული მოსამართლეების ყოლა საერთო სასამართლოების სისტემაში, შემდგომ – საერთო სასამართლოების სისტემაშივე ცალკე სპეციალიზებული პალატის შექმნა, ხოლო სპეციალიზაციის ყველაზე მაღალ დონედ ითვლება დამოუკიდებელი სპეციალიზებული სასამართლოების სისტემის შექმნა. [3] სპეციალიზებული სასამართლოები იქმნება, ხშირად ლიმიტირებული, თუმცა ექსკლუზიური იურისდიქციის უფლებამოსილებით, სამართლის სპეციფიკურ ერთ ან რამდენიმე მონათესავე სფეროში. [4] სპეციალიზებული სასამართლოები გამოირჩევიან იმით, რომ საქმის განხილვა ხდება სპეციალიზებული და შესაბამის სფეროში კვალიფიციური მოსამართლეების მიერ და ამასთან, თავად პროცესიც მორგებული და ადაპტირებულია საკითხის სპეციფიკაზე. როგორც წესი, ამ ტიპის სასამართლოები ან ტრიბუნალები იქმნება სამართლის სპეციფიკურ, რთულ ან/და სენსიტიურ სფეროს მიკუთვნებულ საქმეთა განსახილველად, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ ცოდნას (ზოგჯერ არა მხოლოდ იურიდიულს), გამოცდილებას ან/და განსხვავებულ/ინდივიდუალურ მიდგომას.

ზოგადად, სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის მიზანი თითოეული სახელმწიფოსთვის ინდივიდუალურია. როგორც წესი, ამ ტიპის სასამართლოს შექმნით, ქვეყანა გარკვეულ გამოწვევებთან გამკლავებას ცდილობს. სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის გადაწყვეტილებას ქვეყანა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე იღებს. ყველა სა-

---

1 *Legomsky S.H.,* Specialized Justice, Courts, Administrative Tribunals, and a Cross-National Theory of Specialization, Oxford Academic Books, 1990, 3.

2 *Baum. L,* A First Look at Judicial Specialization, The University of Chicago Press, 2011, 3.

3 *Gramckow H., Walsh B.,* Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned, Justice & Development Working Paper Series, The World Bank, 2013, 16.

4 *Zimmer M.B.,* Overview of Specialized Courts, International Journal for Court Administration, 2009,1.

ხელმწიფოსთვის „საჭიროება“ განსხვავებულია, ხშირად ის განისაზღვრება ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით და სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების და გამოწვევების ანალიზის შედეგად. შესაბამისად, სპეციალიზებული სასამართლო შეიძლება შეიქმნას ა) სამართლის რომელიმე სპეციფიკურ და კონკრეტული ქვეყნისთვის პრობლემურ სფეროში მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; ბ) სასამართლო სისტემის განტვირთვის და დეცენტრალიზაციის მიზნით – საერთო სასამართლოს მოსამართლეებს აღარ მოუწევთ სპეციალიზებულ სასამართლოების იურისდიქციაში შემავალი საქმეების განხილვა. გ) სასამართლო სისტემის გაჯანსაღების და მოსახლეობის ნდობის ამაღლების მიზნით.[5] რაც უფრო სპეციალიზებულია სასამართლო, მით უფრო მაღალია სპეციფიკურ სფეროში დასაბუთებული და სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა, შესაბამისად ხალხსაც მეტი ნდობის ხარისხი აქვს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

ზოგჯერ ამ ტიპის გამოწვევების არსებობის პირობებშიც სახელმწიფო თავად ვერ მიდის სპეციალიზაციის ან/და სპეციალიზებული სასამართლოს შექმნის დასკვნამდე. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებამ გავლენას იქონია და წინ უძღოდა კონკრეტულ სახელმწიფოში სპეციალიზებული სასამართლოების შექმნას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წლის გადაწყვეტილება საქმეზე Sramek v. Austria გახდა საფუძველი ავსტრიაში დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სასამართლოების ჩამოყალიბებისთვის.[6] საქმე ეხებოდა ავსტრიის რეგიონული კომისიის შემადგენლობაში იმ საჯარო მოხელის ყოფნას, რომელიც მხარეს წარმოადგენდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული მიიჩნია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად.[7] ამ გადაწყვეტილებამ აიძულა ავსტრია ადმინისტრაციულ სამართლებრივი პროცედურები გადაეხედა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნა.

2.2. სპეციალიზებული სასამართლოების სახეები

სპეციალიზებული სასამართლოები მათი შექმნის მიზეზებიდან გამომდინარე შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს. განსხვავება შეიძლება გამოიხატებოდეს მოქმედების ვადაში ან საგნობრივ სპეციფიკაში.

მოქმედების ვადის მიხედვით შეიძლება შეიქმნას დროებითი ტრიბუნალი ან მუდმივმოქმედი სპეციალიზებული სასამართლო. თუკი, სპეციალიზებული სასამართლოს შექმნის მიზანი არის დროებითი პრობლემები, გამოწვევები, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში დაიძლევა, მაშინ ქვეყანას შეუძლია შექმნას დროებითი ტრიბუნალი, რომელიც შეასრულებს საკუთარ ფუნქციას, ამოწურავს პრობლემას და შემდეგ არ გააგრძელებს არსებობას. თუკი, პრობლემა არ არის მოკლევადიანი, მაშინ საჭიროა მუდმივმოქმედი სპეციალიზებული სასამართლოს შექმნა. ბუნებრივია, თუკი სასამართლო იქმნება დროებით, მოსამართლეთა დანიშვნა და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები ვერ იქნება ისეთი „მკაცრი“, რადგან მათი განწესება არ ხდება მუდმივად, მათ არ აქვთ შესაბამისი გარანტიები.

---

5 იქვე.
6 Sramek v. Austria [1984] ECHR, [26.02.2025].
7 იქვე, para. 42.

მაგალითად, აშშ-ში 1942 წელს მიღებული "Emergency Price Controls Act"-დან გამომდინარე შექმნა სპეციალიზებული სააპელაციო ე.წ. „გადაუდებელი საქმეების" სასამართლო, რომელიც წყვეტდა სახელმწიფოს მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით დადგენილი რეგულაციების თაობაზე სამართლებრივი დავებს.[8] კიდევ ერთი დროებითი სასამართლოს მაგალითია აშშ-ში 1971 წელს შექმნილი საგანგებო აპელაციების სასამართლო, რომელიც შეიქმნა ეკონომიკური სტაბილიზაციის შესახებ 1970 წელს მიღებული აქტიდან გამომდინარე. აღნიშნული სასამართლო დღესაც კი არსებობს ვაშინგტონში, თუმცა შეზღუდული უფლებამოსილებებით და მოსამართლეების განწესებაც ხდება შტატის მოსამართლეთაგან როტაციის წესით. [9]

გარდა ამისა, სპეციალიზებული სასამართლოების დაყოფა შეიძლება **საგნობრივი სპეციფიკის მიხედვით.** მსოფლიოში ბოლო 2-3 ათწლეულია უამრავი სპეციალიზებული სასამართლო შეიქმნა კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე. მსოფლიოში ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგ სფეროებში შექმნილი სპეციალიზებული სასამართლოები: ა) კომერციული, ფინანსური, საგადასახადო ან ბიზნეს სასამართლოები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეკონომიკასთან ან/და ფინანსებთან (რაც საკმაოდ სპეციფიკური სფეროა), შესაბამისად, საქმის გადასაწყვეტად მოსამართლეს იურისპრუდენციასთან ერთად უნდა ჰქონდეს შესაბამის კომერციულ სფეროში სათანადო დონის ცოდნა და ამასთან, ასეთი ტიპის საქმეები მაქსიმალურად სწრაფად უნდა გადაწყდეს, შესაბამისად აუცილებელია პროცესიც მორგებული იყოს ამ ტიპის დავებზე; ბ) სოციალურ და ოჯახურ საკითხებთან დაკავშირებული, მაგალითად ოჯახური, სოციალური ან შრომითი სასამართლოები; გ) სისხლის სამართლის შედარებით სენსიტიური მიმართულებით, კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ან მენტალური ჯანმრთელობის სასამართლოები. რადგანაც საქმე ეხება მოწყვლად სუბიექტებს, მოსამართლეები სამართალმცოდნეებთან ერთად კარგი ფსიქოლოგებიც უნდა იყვნენ და სპეციფიკურ უნარებსაც უნდა ფლობდნენ ამ მიმართულებით, პროცესი კი თავიდან ბოლომდე ადაპტირებული უნდა იყოს არასრულწლოვანზე და მის საუკეთესო ინტერესებზე; დ) ადმინისტრაციული ან/და ამ სფეროსთან დაკავშირებული სასამართლოები, მაგალითად სამშენებლო, გარემოს დაცვის და სხვა.

მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა – **შრომითი სასამართლოები.** შრომითი სასამართლოები წყვეტენ შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებს ძირითადად დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. დავა სწრაფად, გონივრულ ვადებში წყდება, რაც ასეთი მნიშვნელოვანია შრომით ურთიერთობებში. არის შემთხვევევები, როცა შრომითი დავები ერთ ინსტანციაში წყდება და აპელაციას არ ექვემდებარება, თუმცა უმეტესად ქვეყნებში არსებობს გასაჩივრების შესაძლებლობაც. არსებობს მოდელები, სადაც შრომითი დავა ჯერ განიხილება საერთო სასამართლოში, ხოლო აპელაციის შემთხვევაში საქმე მიდის შრომით სასამართლოში, რომელის გადაწყვეტილება საბოლოოა ან შრომით სასამართლოს ცალკე აქვს თავისი სამივე ინსტანცია. მაგალითად, ძალიან განვითარებული შრომითი სასამართლოები აქვს გერმანიას. სპეციალიზებულ შრომით სასამართლოს გერმანიაში აქვს თავისი სამი ინსტანცია – ა)პირველი ინსტანციის შრომითი სასამართლო ე.წ. Länder, ბ) სააპელაციო ე.წ. Landesarbeitsgerichte სასამართლო და გ) საკასაციო ფედერალური შრომითი სასამართლოე-

[8] *Zimmer M.B.*, Overview of Specialized Courts, International Journal for Court Administration, 2009, 1.

[9] იქვე.

ბი.[10] შრომითი სასამართლოები გვხვდება ბელგიაში[11], ფინეთში[12], ირლანდიაში[13], ისრაელში[14], ნორვეგიაში[15], შვედეთში[16], შვეიცარიაში[17] და სხვა.

ძალიან გავრცელებულია ფინანსებთან დაკავშირებული სასამართლოებიც, როგორიცაა **კომერციული/ბიზნეს სასამართლოები, საგადასახადო, ფისკალური და ა.შ.** ისევ გერმანიის მაგალითს თუ განვიხილავთ, აქ არსებობს ე.წ. ფისკალური სასამართლოების სიტემა, რომელიც აერთიანებს პირველი ინსტანციის ფისკალურ და ზემდგომი ინსტანციის ფედერალური საფინანსო სასამართლოს (საბოლოო ინსტანცია) და რომელთა იურისდიქციაშიც შედის საგადასახადო, საბაჟო და სხვა ფინანსური დავები.[18] ასევე, საკმაოდ ცნობილია აშშ, თავისი საგადასახადო სასამართლოებით. ავტრიაში ვენის კომერციულ სასამართლოს აქვს ექკლუზიური იურისდიქცია საავტორო და პატენტის უფლებებთან დაკაშირებულ დავებზე.[19] ასევე, ერთ-ერთი უძველესი კომერციული სასამართლო აქვს ინგლისს, ლონდონის სამეფო კომერციული სასამართლოები განიხილავენ ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს, სავაჭრო, საბანკო და სააარბიტრაჟო დავებს.[20]

არასრულწლოვანთა სასამართლოები – მიეკუთვნება ე.წ. problem-solving სასამართლოების კატეგორიას. ზოგადად, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე ზოგიერთ ქვეყანას აქვს ცალკე არასრულწლოვანთა სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ სრულწლოვანებას მიუღწეველი მოზარდის მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. თუმცა, არასრულწლოვანთა სასამართლოები უფრო ლმობიერ და რბილ მიდგომებს იყენებენ, ორიენტირებული არიან რესოციალიზაციაზე და მოზარდის საუკეთესო ინტერესებზე. ყველაზე ცნობილი მაგალითია აშშ, რომელსაც ძალიან განვითარებული არასრულწლოვანთა სასამართლოები აქვს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს გამოთქმული პირდაპირი თუ ირიბი სახით რეკომენდაცია სახელმწიფოებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული სასამართლოების არსებობის შესახებ, კერძოდ, 1999 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე T. and V. against United Kingdom[21] აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია დანაშაულში ბრალდებული ბავშვის საქმე განიხილებოდეს მისი ასაკის, მოწიფულობის, ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობების, განვითარების

---

[10] National Specialized Courts: Germany, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?GERMANY&member=1> [26.02.2025].

[11] *Rauws R.,* The Labour Court System in Belgium, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986, 11.

[12] *Pelkonen J., Tiitinen K.P.,* The Labour Court System in Finland, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986, 14.

[13] *Cosgrave M.P.,* The Labour Court System in Ireland, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986, 30.

[14] *Bar-Niv Z.,* The Labour Court System in Israel, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986, 41.

[15] *Enju S.,* The Labour Court System in Norway, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986, 44.

[16] *Bouvin A.,* The Labour Court System in Sweden, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986, 52.

[17] *Berenstein A.,* The Labour Court System in Switzerland, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986, 57.

[18] იქვე.

[19] *Zimmer M.B.,* Overview of Specialized Courts, International Journal for Court Administration, 2009, 14.

[20] National Specialized Courts: Germany, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?GERMANY&member=1> [26.02.2025].

[21] T. and V. against United Kingdom, [1999] ECtHR, [26.02.2025].

დონის გათვალისწინებით და ამასთან, არასრულწლოვანს ხელი უნდა შეეწყოს, რათა მან გაიგოს, რა ხდება პროცესზე და მონაწილეობა მიიღოს მასში.[22] ასევე, 2004 წლის საქმეზე S.C. against the United Kingdom[23] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ეფექტიანი მონაწილების უფლებას" უზრუნველჰყოფს ბრალდებული არასრულწლოვნის სპეციალიზებულ სასამართლოში მიყვანა, სადაც პროცედურები მთლიანად მორგებული უნდა ყოფილიყო მოზარდზე და გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო მისი ინტელექტუალური მოწიფულობა.[24]

ნარკოსასამართლოები – ასევე მიეკუთვნება problem-solving სისხლის სამართლის სფეროს მიკუთვნებულ სასამართლოების ტიპს. ასეთი ტიპის სპეციალზიებული ტრიბუნალების მიზანია, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული პირების მიერ დანაშაულის ჩადენისას, სცადონ მათი დახმარება, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია, მკურნალობა. ნარკოსასამართლოები ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში (როგორც ჩვეულებრივი, ისე – არასრულწლოვანთა ნარკოსასამართლოები)[25], გვხვდება ირლანდიაში[26] და ა.შ.

მიწის და გარემოს დაცვის სასამართლოები – ბოლო წლებში გახშირდა გარემოს დაცვასთან, მიწასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა. მაგალითად, შვედეთს აქვს მიწის და გარემოს სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ წყლის და ეკოლოგიურად საშიშ საკითხებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე ნებართვის გაცემის, ჯანდაცვის, ბუნების დაცვის, სახიფათო ნარჩენებს, მშენებლობის, მიწის ნებართვის გაცემას, ექსპროპრიაციისა და სხვა მსგავს საკითხებს.[27] ასეთი ტიპის სასამართლოები გვხვდება აშშ-შიც.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სპეციალიზებული სასამართლოების სახეა – **ადმინისტრაციული სასამართლოები,** რომლებიც განიხილავენ ადმინისტრაციული ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მიღებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს. ყველაზე ცნობილი მაგალითია საფრანგეთი, რომელსაც ადმინისტრაციული სასამართლოების მთელი სისტემა აქვს. საფრანგეთში არსებობს ფინანსური, სოციალური დაცვის, პროფესიული დისციპლინური ადმინისტრაციული სასამართლოები.[28]

3. სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის უპირატესობები და კრიტერიუმები

3.1. სპეციალიზებული სასამართლოების ბენეფიტები

სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა დაკავშირებულია სასამართლო სისტემის ძირეულ რეფორმასთან, ფინანსურ ხარჯებთან, ადმინისტრაციული და პროფესიული კადრე-

---

22 იქვე, para 84.

23 S.C. against the United Kingdom, [2004]ECtHR, [26.02.2025].

24 იქვე.

25 *Butts J., Roman J., Lynn-Whaley J.,* Varieties of Juvenile Court: Nonspecialized Courts, Teen Courts, Drug Courts, and Mental Health Courts, The Oxford Handbook of Juvenile Crime and Juvenile Justice, 2012, chapter 25, 615.

26 National Specialized Courts: Ireland, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?IRELAND&member=1> [26.02.2025].

27 National Specialized Courts: Sweden, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?SWEDEN&member=1> [26.02.2025].

28 National Specialized Courts: France, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?FRANCE&member=1> [26.02.2025].

ბის მოზიდვასა და ბევრ სხვა გამოწვევასთან, ამიტომ სახელმწიფომ ასეთი ტიპის სასამართლოს შექმნადე უნდა შეაფასოს ყველა პლიუსი და მინუსი და მხოლოდ ამის შემდგომ, გააზრებულად მიიღოს გადაწყვეტილება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის სამ მთავარ ბენეფიტს:

1. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გაზრდა.[29] სპეციალიზებული მოსამართლეები, რომლებსაც აქვთ ვიწრო პროფილით შესაბამისი კვალიფიკაცია და ცოდნა, უკეთ შეძლებენ საქმეზე დროული, სამართლებრივად სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღონ. გარდა ამისა, მაგალითად, კომერციულ დავებში უმნიშვნელოვანესია მორიგების ფაქტორი და შესაბამისად სპეციალიზებული მოსამართლის როლიც, რომელსაც უნდა შეეძლოს მხარეების მორიგებაზე დათანხმება. გარდა ამისა, თავად პროცედურები არის მორგებული სამართლის ამ კონკრეტულ მიმართულებაზე, რაც ხელს უწყობს რომ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნეს გონივრულ ვადებში და არ გაჭიანურდეს საქმეთა განხილვა. ამასთან, სპეციფიკურ კატეგორიას მიკუთვნებული საქმეების განხილვა სპეციალიზებულ სასამართლოებზე გადავა, შესაბამისად, საერთო სასამართლოების განტვირთვასაც ხელი შეეწყობა.
2. მართლმსაჯულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებში.[30] ვინაიდან, სპეციალიზებული სასამართლოები იქმნება კომპლექსურ, რთულ და სპეციფიკურ სამართლის დარგებში, რაც უფრო მეტად კვალიფიციური და ამ მიმართულებით დიდი გამოცდილების მქონეა მოსამართლე, მით იზრდება გადაწყვეტილებების ხარისხიც.
3. სპეციალიზებული სასამართლოების მიერ ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებში საქმეთა განხილვა დაამკვიდრებს ერთგვარ სტანდარტს, შედარებით უნიფიცირებულ და სტაბილურ, პროგნოზირებად პრაქტიკას[31], რაც თავიდან გვაშორებს უმიზნო და არაადეკვატურ სარჩელებს და ასევე, შემცირდება აპელაციების ოდენობაც.

3.2. სპეციალზებულ სასმართლოთა შექმნის კრიტერიუმები

1980-იან წლებში აშშ-ის კონგრესმა შექმნა ფედერალური სასამართლოების შემსწავლელი კომიტეტი, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი სპეციალიზებული სასამართლოების მუშაობის შეფასება იყო. 1990 წლის დასკვნაში, კომიტეტმა შეიმუშავა სპეციალიზებული სასამართლოს შექმნისთვის აუცილებელი კრიტერიუმები: [32]

1) სასამართლო იქმნება სამართლის დარგში, რომელიც შედარებით ვიწროა და შეიძლება გამოცალკევდეს სხვა ტიპის საქმეებისგან;
2) ამ საკითზე შემოსულ საქმეთა რაოდენობა დიდია, ამიტომ სპეციალიზებული სასამართლოს შექმნით საერთო სასამართლო განიტვირთება;

[29] *Gramckow H., Walsh B.,* Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned, Justice & Development Working Paper Series, The World Bank, 2013, 6.
[30] იქვე.
[31] *Gramckow H., Walsh B.,* Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned, Justice & Development Working Paper Series, The World Bank, 2013, 6.
[32] იქვე, 14.

3) კონკრეტული სფერო მოითხოვს სამეცნიერო, ტექნიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სხვა ტიპის ცოდნას/უნარებს/გამოცდილებას;
4) კონკრეტული სფეროს ადმინისტრირებაში არსებობს გარკვეული ერთგვაროვნების საჭიროება.

გარდა ამისა, კომიტეტმა დადგინა, რომ სპეციალიზებული სასამართლოები ან ტრიბუნალები უნდა შეიქმნას მხოლოდ ქვეყნის სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე და შექმნილი ორგანოს უნდა შეეძლოს გაუმკლავდეს შემოსულ საქმეთა სპეციფიკას, სირთულეს, ოდენობას და სხვა.

ასევე საინტერესოა, რომ ინგლისის სამართლებრივი სისტემის კვლევის შედეგად ედვარდ კაზალეტმა შეიმუშავა დამატებითი კრიტერიუმები ზოგადად სპეციალიზაციის შექმნის საჭიროების დასადგენად[33]. ეს კრიტერიუმები ვრცელდება სპეციალიზებული სასამართლოს შექმნაზეც და ისენია:[34]

ა) სპეციალიზაციის შექმნის ვადის განსაზღვრა (დროებით იქმნება სასამართლო თუ გრძელვადიანი პერსპექტივით);
ბ) წინასწარი კვლევების ან საპილოტე პროგრამების ჩატარება, რათა დადგინდეს სპეციალიზაციის საჭიროება;
გ) დადგენა, რამდენად მოაგვარებს სპეციალიზაცია საქმეთა დიდი ნაკადის პრობლემას;
დ) სამართლის კონკრეტულ სფეროში (რომელიც კომპლექსური, რთული ან სპეციფიკურია) რამდენად სწორი, დასაბუთებული და ხარისხიანი გადაწყვეტილებები მიიღება ანუ რამდენად კარგად ართმევენ ამ სფეროს თავს გენერალისტი მოსამართლეები;
ე) სასამართლოსადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი და მათი კმაყოფილება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

4. სპეციალიზებული სასამართლოების საერთაშორისო სტანდარტები

სპეციალიზებული სასამართლოების საჭიროების აღქმა ყველაზე კარგად კონკრეტულ სახელმწიფოთა პრაქტიკის გაანალიზებით შეიძლება. საქართველოში სპეციალიზებული სასამართლო(ები)ს დამკვიდრების შესაძლო მოდელის შემუშავებისას კი აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზღვარგარეთული საუკეთესო გამოცდილება.

4.1. გერმანიის მაგალითი

ევროპაში სპეციალიზებული სასამართლოების კუთხით ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო გერმანიაა, სადაც 5 ტიპის სპეციალიზებული სასამართლო არსებობს, კერძოდ – ადმინისტრაციული, სოციალური, ფისკალური, შრომის და საკონსტიტუციო.[35] ადმინისტრაციული სასამართლოები მოიცავს ზოგად ადმინისტრაციულ, სოციალურ და ფისკალურ სასამართლო-

[33] *Cazalet E.,* Specialised Courts: Are They a 'Quick Fix' or a Long-Term Improvement in the Quality of Justice?, Washington, DC, World Bank, 2001, [26.02.2025].
[34] *Gramckow H., Walsh B.,* Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned, justice & development Working Paper Series, The World Bank, 2013, 15.
[35] National Specialized Courts: Germany, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?GERMANY&member=1>[26.02.2025].

ებს. როგორც ზოგადი ადმინისტრაციული, ისე სოციალური სასამართლოები სამი ინსტანციის ფარგლებში განიხილავენ საქმეებს, ხოლო ფისკალური სასამართლოები – ორ ინსტანციაში. შრომითი სასამართლოები კი სრულიად გამოცალკევებულია საერთო სასამართლოებისგან. გერმანიის ფისკალური/საგადასახადო სასამართლოები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მოდელს ქმნის. დღეისთვის იქ 18 ფისკალური სასამართლო მოქმედებს, რომლებიც წელიწადში მიახლოებით 37000 – 38 000 საგადასახადო საქმეს იღებენ.[36] მოსამართლეები შეიძლება უვადოდ დაინიშნონ 35 წლის ასაკიდან.[37] გერმანიის ფისკალურ სასამართლოებს ძალიან საინტერესო ორგანიზაციული სტრუქტურა აქვთ. სასამართლოს შემადგენლობა დაყოფილია თერთმეტ სენატად. სენატების არსებობა ნიშნავს საგადასახადო ტიპის დავების კიდევ უფრო ვიწრო სპეციალიზაციებად, კატეგორიებად ჩაშლას.[38]

4.2. ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი

ამერიკის შეერთებულ შტატებს საკმაოდ ბევრი სახეობის სპეციალიზებული სასამართლო აქვს. ფედერალურ დონეზე სახელმწიფომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საგადასახდო სასამართლოების სისტემა შექმნა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფედერალურ დონეზე სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებით შექმნა სპეციალიზებული სასამართლოები. სახელმწიფოს ძირითადი ინტერესის სფეროებია ეკონომიკა/გადასახადები[39] და უსაფრთხოება. ამიტომ, სახელმწიფოში შექმნილია გაკოტრების, სამხედრო ძალების და საერთაშორისო ვაჭრობის სასამართლოები. ამასთან, სპეციალიზებული სასამართლოებია შექმნილი შტატების დონეზეც – „ა) საოჯახო სასამართლოები, რომელთა იურისდიქცია შტატების მიხედვით განსხვავდება. უმეტესად სპეციალზიებული სასამართლო განიხილავს ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ, შვილად აყვანის, განქორწინების, ალიმენტის დაკისრების, შვილების საოცხოვრებლის განსაზღვრის და სხვა ტიპის საოჯახო საქმეებს. ბ) გარემოს დაცვის სასამრთლოები; გ) პრობაციის სასამართლოები; დ) დასაქმებულთა კომპენსაციის გადახდის სასამართლოები; ე) წყლის რესურსების სასამართლოები; ვ) მიწის სასამართლოები; ზ) ადმინისტრაციული სასამართლოები; თ) მცირე ღირებულების საჩივრების სასამართლო – განიხილავს ქონებრივ დავებს, რომელთა დავის საგნის ღირებულება არ აღემატება კონკრეტულ თანხას; ი) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სასამართლოები; კ) ნარკო- სასამართლოები და მენტალური ჯანმრთელობის ანუ თერაპევტიული ე.წ. problem-solving სასამართლოები[40]; ლ) ბიზნეს ან კომერციული სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ კორპორაციულ, ბიზნეს და ნებისმიერ კომერციულ საკითხებს.“[41]

---

36 *Cordewener A., Hendricks M.,* The Disputes and Litigation Review: Germany, Chapter 11, Seventh Edition, London, 2019, 102.

37 Fiscal Court Code of Germany, article 14, 01.10.2022, <https://www.gesetze-im-internet.de/fgo/__14.html> [26.02.2025].

38 საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური ინსტიტუტები: საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები, USAID & ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, კვლევა, 2012, 29.

39 *Howard M. R.,* Comparing the Decision Making of Specialized Courts and General Courts: An Exploration of Tax Decisions, The JUSTICE SYSTEM JOURNAL, VOL. 26, NUMBER 2 (2005), 136.

40 *Butts, J.A., Roman J.K., Lynn-Whaley J.,* Teen Courts, Drug Courts, and Mental Health Courts, Varieties of Juvenile Court: Nonspecialized Courts, Oxford, 2011, Chapter 25, 627.

41 *Zimmer M.B.,* Overview of Specialized Courts, International Journal for Court Administration, 2009, p. 7-13

4.3. საფრანგეთის მაგალითი

საფრანგეთი ძალიან საინტერესოა იმ კუთხით, რომ მას აქვს ადმინისტრაციული სასამართლოების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული, წარმატებული და დეცენტრალიზებული მოდელი.[42] საფრანგეთში ადმინისტრაციული სასამართლოების ფარგლებში მოქმედებს ფინანსური და აუდიტის, ასევე, დისციპლინარული, თავშესაფრის მაძიებელთა სასამართლოები.[43] საფრანგეთის დეცენტრალიზაციის საკმაოდ სპეციფიკური, რთული და ჩახლართული სისტემიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სასამართლოები გარკვეულწილად აბალანსებენ ამ მოცემულობას.[44] გარდა ამისა, საფრანგეთს აქვს შექმნილი საერთო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი ტრიბუნალები, როგორიცაა არასრულწლოვანთა სასამართლოები, სოციალური უსაფრთხოების ტრიბუნალები, დასაქმების ტრიბუნალები, შრომითი სასამართლოები, კომერციული სასამართლოები.[45]

5. სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის მიზანშეწონილობა და შესაძლო მოდელი საქართველოში

საქართველოში სპეციალიზაცია 2000-იანი წლებიდან მოქმედებს, თუმცა ამას არ აქვს საყოველთაო ხასიათი. ამ ეტაპზე ვიწრო სპეციალიზაციები მოქმედებს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია დაყოფილია -6, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია – 5, ხოლო სისხლის სამართლის საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია – 6 სპეციალიზაციად.[46] მათ შორისაა, საგადასახდო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, არასრულწლოვანთა და სხვა. ზოგადად, სპეციალიზაციის არსი ისაა, რომ საქმე განიხილებოდეს სპეციალიზებული ანუ შესაბამის სფეროში სპეციფიკური ცოდნის და გამოცდილების მქონე მოსამართლის მიერ, თუმცა რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ეს პრინციპი საქართველოში არ მოქმედებს. მოსამართლეებს სპეციალიზაციების მიხედვით ანაწილებს სასამართლოს თავმჯდომარე საკუთარი მიხედულებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქმეს განიხილავენ ისევ გენერალისტი მოსამართლეები (ვიწრო-სპეციალიზაციის გარეშე), უბრალოდ საქმეები გადანაწილებულია სპეციალიზაციების მიხედვით. გარდა ამისა, სპეციალიზაციების შემოღების ერთ-ერთ მიზნად დასახელდა სასამართლოს განტვირთვა, არადა მოსამართლეთა დამატება არ მომხდარა (იმ ეტაპისთვის). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ისმის კითხვები – რა აზრი აქვს სპეციალიზაციას, თუკი შესაბამის კატეგორიას მიკუთვნებულ საქმეს არ განიხილავს სპეციალიზებული მოსამართლე? არის თუ არა აღნიშნული მოდელი ქმედითი და ეფექტიანი? ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად ერთ-ერთ ყველაზე ქმედით მე-

---

[42] *Schwartz B.,* The Administrative Courts in France, 1951 29-4 Canadian Bar Review 381, 1951 CanLIIDocs 59, 381.

[43] National Specialized Courts: France, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?FRANCE&member=1>[26.02.2025].

[44] *Flavier H., Froger C.,* Administrative Justice in France: Between Singularity and Classicism. BRICS Law Journal, 2016, 3 (2), 82.

[45] National Specialized Courts: France, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?FRANCE&member=1>[26.02.2025].

[46] ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა საერთო სასამართლოების სისტემაში, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, კვლევა, თბილისი, 2020, 25.

ქანიზმს სწორედ სპეციალიზებული სასამართლოების დამკვიდრება წარმოადგენს. სპეციალიზაცია და განსაკუთრებით, სპეციალიზებული სასამართლოები იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად.

თუკი, საქართველოში მოხდება სპეციალიზებული სასამართლოების შემოღება, აუცილებელია, რომ ეს მოხდეს სამართლის იმ მიმართულებებით, სადაც რეალური საჭიროება არსებობს. აშშ-ის კონგრესის კომიტეტის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს თუ გავითვალისწინებთ, ასეთი საჭიროება შეიძლება რამდენიმე მიმართულებით არსებობდეს, მაგალითად საგადასახადო სამართალის მიმართულებით – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სპეციალიზებული სასამართლოს ტიპია მსოფლიოში, ძალიან სპეციფიკური მიმართულებაა, საქმეთა ოდენობა კი დიდია[47], თუმცა საქართველოში მოსამართლეები არ არიან სპეციალიზებულები, ამიტომ გადაწყვეტილებათა ხარისხი არც ისე მაღალია[48]. გარდა ამისა, შესაძლოა, გამოვყოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებაც – სენსიტიური სფეროა, რომელიც მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას არასრულწლოვნების მიმართ და არა მხოლოდ მოსამართლე უნდა იყოს სპეციალიზებული ან თუნდაც პროკურორი და ადვოკატი, არამედ მთლიანად პროცესი უნდა იყოს მორგებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე და მის რეაბილიტაცია/რესოციალიზაციაზე. ასევე, უახლოეს მომავალში შესაძლოა ვიფიქროთ სოციალურ/საოჯახო ან გარემოს დაცვის სასამართლოებზეც.

რომელი მიმართულებითაც არ უნდა იყოს შექმნილი სპეციალიზებული სასამართლოები, მათი შექმნის შემთხვევაში საქართველოში მთელი რიგი საკითხები და მათი გადაწყვეტის საშუალებები შეიცვლება. პირველ რიგში გასატარებელი იქნება საკანონმდებლო რეფორმა. საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ და სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. [49] ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუციური ჩანაწერის შეცვლა გახდება საჭირო თუკი სპეციალიზებულ სასამართლოები შეიქმნება საერთო სასამართლოს სისტემის გარეთ. გარდა ამისა, საჭირო გახდება თითოეული ტიპის სპეციალიზებული სასამართლოსთვის ორგანული კანონის მიღება, რომლითაც გაწერილი იქნება ორგანიზაციული და ამ დარგზე ადაპტირებული პროცესუალური საკითხები.

უმჯობესია, თუკი სპეციალიზებული სასამართლოები თავიდანვე შეიქმნება საკუთარი სისტემით და იერარქიით. სასამართლო სისტემა, როგორც წესი, ორ ან სამსაფეხურიანია. მაგალითად, საგადასახადო/კომერციული დავების სპეციფიკა მოითხოვს მათ მაქსიმალურად სწრაფად გადაწყვეტას, ამიტომ საჭიროა ორინსტანციიანი სასამართლო; ხოლო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შემთხვევაში, სტანდარტულად – სამინსტანციიანი. საკუთარ სისტემაში მოიაზრება ცალკე შენობა, სპეციალიზებული მოსამართლეები, დამოუკიდებელი აპარატი, კონკრეტულ სპეციალიზაციაზე ადაპტირებული პროცესები, გასაჩივრების საკუთარი სისტემა და ინსტანციები, სარჩელის შეტანის შესაძლო განსხვავებულობა და სხვა (რო-

[47] IDFI-ს (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) ოფიციალური ვებ-გვერდის მონაცემები, სასამართლო სტატისტიკა, <https://idfi.ge/ge/courtstat/?lang=ge&type=1&case=administrative_cases&j_case=179&year=2022&f_static=1&quarter=2022_0> [26.02.2025].

[48] იქვე.

[49] საქართველოს კონსტიტუცია, 59 (3) მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.08.1995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [26.02.2025].

გორც ეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვისაა დამახასიათებელი). თუკი თავიდანვე ამ სახით არ გამოვა, საწყის ეტაპზე (გარდმავალ პერიოდში) შეიძლება საპილოტე პროგრამის სახით მაინც დამკვიდრდეს სპეციალიზებული სასამართლოები. ამ შემთხვევაში, სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა შეიძლება საერთო სასამართლოს სისტემაშიც. მეტიც, სპეციალიზებული შეიძლება იყოს (საწყის ეტაპზე) მხოლოდ პირველი ინსტანცია, ხოლო აპელაცია, კასაციას განიხილავენ უკვე გენერალისტი მოსამართლეები.

სპეციალიზებული სასამართლოების შემქნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა ვიწროდ სპეციალიზებული მოსამართლეები ყოლა, რომელსაც შესაბამის სფეროში მაღალკვალიფიციური ცოდნა, გამოცდილება და სპეციალური უნარები ექნებათ. ბუნებრივია, საჭირო გახდება მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა/დამატება. მოძიებულ უნდა იქნეს კონკრეტულ სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ისინი უნდა დაინიშნონ მოსამართლეებად. გარდა ამისა, შესაძლებელია, მოხდეს მსურველი გენერალისტი მოსამართლეების გადამზადებაც.

ცვლილებები თავს იჩენს სარჩელის შეტანის და დასაშვებობის ეტაპზევე. შესაძლოა, დადგინდეს სარჩელით მიმართვის, გადაწყვეტილების მიღების, სააპელაციო და საკასაციო საჩივრით მიმართვის განსხვავებული ვადებიც. მაგალითად, კომერციული/საგადასახადო დავების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების მაქსიამლურად მოკლე (გონივრულობის ფარგლებში) ვადა უნდა იყოს დადგენილი, რადგან თუკი დავა გაიწელება, მხარე დაკარგავს სამართლებრივ ინტერესს და დიდი ალბათობით, კიდევ უფრო მეტ მატერიალურ ზიანს ნახავს. შეიცვლება პროცედურული ნაწილიც სამართლის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, კერძოდ, კომერციული დავებისთვის აუცილებელია პროცედურების ფორმალიზაციის და ბიუროკრატიის შემცირება, გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალურად შემჭიდროებული ვადა და მორიგებით საქმის დამთავრების შესაძლებლობის მიცემა. ასევე, სარჩელის ამ სახისთვის არ უნდა იყოს აუცილებელი (ან მინიმუმ გამონაკლისები უნდა არსებობდეს) სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის მოთხოვნა, თუკი მათი გამოყენება არსებული სამართლებრივი მდგომარეობიდან ან სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინდარე, აზრს მოკლებული და უპერსპექტივოა.[50] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სასამართლოებისთვის კი საჭირო იქნება პროცესის სრულად მორგება მოზარდის საუკეთესო ინტერესებზე, დაწყებული ადაპტირებული სხდომის დარბაზით, დამთავრებული რესოციალიზაცია/რეაბილიტაციაზე მიმართული (და არა დასჯაზე) პასუხისმგებლობის ზომებით. ადმიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირდაპირი რეკომენდაციაა, რომ ქვეყნებმა შექმნან არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლოები, დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც ორგანიზაციულად, პროცედურულად და შინაარსობრივად უფრო იქნებიან ადაპტირებული/ორიენტირებული მოზარდზე და მის ინტერესებზე. [51]

რაც შეეხება სპეციალიზებულ მოსამართლეებს, ბუნებრივია, აუცილებელი გახდება მათი დანიშვნის სპეციფიკის გადახედვა და ასევე, საკვალიფიკაციო განსხვავებული სტანდარტების დაწესება თანამდებობაზე განწესებისთვის. ზოგადად, არსებობს სპეციალიზებული მოსამართლისთვის დაწესებული კრიტერიუმები:

---

[50] *ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა.,* საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 117 (328), Maunz, GG, Art. 93, Rn 71.

[51] *Rap S.,* The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, 2013, chapter 2, par. 5.1., 67.

„1.სამართლის სპეციფიკურ დარგში ექსპერტული დონის ცოდნა;

2. არაიურიდიული ხასიათის, ტექნიკური ცოდნა/უნარების ქონა;

3.სახელმწიფო პოლიტიკის, სოციალური, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი და სხვა ტიპის მნიშვნელოვანი კონტექსტის ცოდნა და აღქმა;

4. კომუნიკაციის კარგი უნარი;

5. კონკრეტული სამართლის სფეროსთვის აუცილებელი უნარების ქონა.“[52]

ევროსაბჭოს ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციითაც, მოსამართლე შეიძლება გახდეს სპეციალიზებული სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელიც მან დააგროვა, როგორც იურისტმა ან მოსამართლედ დანიშვნის შემდგომ მიღებული გამოცდილების შედეგად. ამასთან, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოცდა ჩაბარებული და ტრენინგების კურსი გავლილი.[53] ამასთან, აუცილებელია, რომ მოსამართლე მუდმივად ცდილობდეს პროფესიულ განვითარებას. საქართველოშიც, მსგავსი ტიპის მოთხოვნები უნდა დაუწესდეთ მოსამართლეებს. საკანონმდებლო დონეზე უნდა გაიწეროს, რამდენწლიანი სამუშაო გამოცდილება (კონკრეტული სპეციფიკური სამართლის დარგში) იქნება აუცილებელი მოსამართლის შესარჩევად. ვინიდან, დღეს კონსტიტუციის თანახმად საერთო სასამართლოს მოსამართლეს მოეთხოვება სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება, საწყის ეტაპზე, უმჯობესია, სპეციალიზებულ მოსამართლეებთან მიმართებითაც იგივე კრიტერიუმი გავრცელდეს.

რაც შეეხება სპეციალიზებულ მოსამართლეთა რაოდენობას, ევროსაბჭოს სასამართლოების სისტემის საბჭოს რეკომენდაციით, თითოეულ სპეციალიზებულ სასამართლოში მინიმუმ 10 მოსამართლე მაინც უნდა იყოს.[54] მიუხედავად ამისა, დღეს მსოფლიოში არ არსებობს სპეციალიზებულ სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის ოპტიმალური ოდენობის შესახებ სტანდარტი და სახელმწიფო საკუთარი მიხედულებით, ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, სპეციალიზებული მოსამართლე შესაძლოა დაინიშნოს კონკრეტული ვადით ან უვადოდ. საქართველოში შესაძლოა, საპილოტე პროგრამის ფარგლებში მოსამართლეები კონკრეტული დროით განმწესდნენ, მაგალითად 3 ან 5 წლით, ხოლო გამოსაცდელი ვადის შემდგომ – უვადოდ.

6. დასკვნა

სპეციალიზებული სასამართლოების შექმნასთან დაკავშირებული თავისებურებების გაგება და შემდეგ, კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებზე მორგება მარტივი სულაც არაა. სტატიის მიზანს სწორედ ამ თავისებურებების და საერთაშორისო სტანდარტების გაანალიზების გზით გარკვეული სიცხადის შეტანა წარმოადგენს სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის ასპექტებთან დაკავშირებით. სტატიაში განხილული და წარმოჩენილია ის მიზნები და საჭიროებები რომელთა გამოც კონკრეტული სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, რომ შექ-

[52] *Gramckow H., Walsh B.,* Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned, Justice & Development Working Paper Series, The World Bank, 2013, 21.

[53] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) NO 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, Paris, November 2012, C.1.II, 45.

[54] European Network of Councils for the Judiciary (ENCJ), “Development of Minimum Judicial Standards. Report 2010-2011” (Brussels: ENCJ, n.d.), <http://www.encj.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj_report_project_team_minimum_standards.pdf> [26.02.2025].

მნას სპეციალიზებული სასამართლოები. ასევე, გაანალიზებულია ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება გადაწყვეტილების მიღება, კონკრეტულად რომელი და რა ტიპის სპეციალზიებული სასამართლო უნდა შეიქმნას ქვეყანაში. სამეცნიერო ლიტერატურაში კონტრავერსიული მიდგომები არსებობს, თუმცა ავტორის მიერ გამოყოფილია 4 ძირითადი რელევანტური კრიტერიუმი. სპეციალიზებული სასამართლო შეიძლება შეიქმნას: 1) სამართლის სპეციფიკურ, რთულ, სენსიტიურ სფეროში, რომელიც მოითხოვს განსხვავებულ და ვიწრო მიმართულებით კვალიფიციურ ცოდნას, გამოცდილებას ან/და უნარებს; 2) სამართლის წინა კრიტერიუმში აღნიშნული მიმართულებით მართლმსაჯულების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, სასამართლო ვერ ასრულებს სამართალშემფარდებლის როლს სრულყოფილად და ეფექტიანად. შესაბამისად სათანადოდ დასაბუთებული და სამართლებრივივად სწორი გადაწყვეტილებები გამოწვევას წარმოადგენს სამართლის ამ კონკრეტულ სფეროში; 3) არსებობს მაღალი მიმართვიანობა სამართლის ამ მიმართულებით. თუკი მიმართვიანობა დაბალია, შესაძლოა, სპეციალიზაციის სხვა სახეები იქნეს გამოყენებული.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, თუკი საქართველოში სპეციალიზებული სასამართლოები შეიქმნება, საჭირო გახდება მთელი რიგი საკანონდებლო, საკადრო, სტრუქტურული და სხვა ტიპის რეფორმების გატარება. თუმცა, ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე, ავტორის პოზიციით, საქართველოში საპილოტე პროგრამის სახით მაინც (დასაწყისისთვის) და შემდომ უკვე მუდმივმოქმედი სახით აუცილებელია სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა ისეთ სფეროებში, როგორიცაა კომერციული/საგადასახადო სამართალი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, გარემოს დაცვა და სხვა. ამასთან, იურიდიულ სამეცნიერო წრეებში მუსირებს მოსაზრება, რომ უპრიანი იქნება ადმინისტრაციული სასამართლოების ცალკე გამოყოფა. სპეციალიზებული სასამართლოს შექმნით უზრუნველყოფილი იქნება მართლმსაჯულების მაღალი ხარისხი, სასამართლო სისტემის მეტი ეფექტიანობა და ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტები.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია,საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა საერთო სასამართლოების სისტემაში, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, კვლევა, თბილისი, 2020.
3. ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021.
4. საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური ინსტიტუტები: საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები, USAID & ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კვლევა, 2012.
5. Fiscal Court Code of Germany, 01.10.2022,<https://www.gesetze-im-internet.de/fgo/__14.html> [26.02.2025].
6. Baum. L, A First Look at Judicial Specialization, The University of Chicago Press, 2011.
7. Bar-Niv Z., The Labour Court System in Israel, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986.
8. Berenstein A., The Labour Court System in Switzerland, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986.
9. Bouvin A., The Labour Court System in Sweden, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986.
10. Butts, J.A., Roman J.K., Lynn-Whaley J., Teen Courts, Drug Courts, and Mental Health Courts, Varieties of Juvenile Court: Nonspecialized Courts, Oxford, 2011.

11. Cazalet E., “Specialized Courts: Are They a ‘Quick Fix’ or a Long-Term Improvement in the Quality of Justice?” (Washington, DC: World Bank, 2001).
12. Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) NO 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, Paris, November 2012.
13. Cordewener A., Hendricks M., The Disputes and Litigation Review: Germany, Chapter 11, Seventh Edition, London, 2019.
14. Cosgrave M.P., The Labour Court System in Ireland, Labour courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986.
15. European Network of Councils for the Judiciary (ENCJ), “Development of Minimum Judicial Standards,Report 2010-2011” (Brussels: ENCJ, n.d.), <http://www.encj.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj_report_project_team_minimum_standards.pdf> [26.02.2025].
16. Flavier H., Froger C., Administrative Justice in France: Between Singularity and Classicism. BRICS Law Journal, 2016, 3 (2).
17. Gramckow H., Walsh B., Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned, Justice & Development Working Paper Series, The World Bank, 2013.
18. Howard M. R., Comparing the Decision Making of Specialized Courts and General Courts: AN Exploration of Tax Decisions, THE JUSTICE SYSTEM JOURNAL, VOL. 26, NUMBER 2 (2005).
19. Legomsky S.H., Specialized Justice, Courts, Administrative Tribunals, and a Cross-National Theory of Specialization, Oxford Academic Books, 1990.
20. National Specialized Courts: Germany, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?GERMANY&member=1> [26.02.2025].
21. National Specialized Courts: Ireland, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?IRELAND&member=1> [26.02.2025].
22. National Specialized Courts: France, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?FRANCE&member=1> [26.02.2025].
23. National Specialized Courts: Sweden, European E-Justice, <https://e-justice.europa.eu/19/EN/national_specialised_courts?SWEDEN&member=1> [26.02.2025].
24. Pelkonen J., Tiitinen K.P., The Labour Court System in Finland, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986.
25. Rap S., The participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, 2013.
26. Rauws R., The Labour Court System in Belgium, Labour Courts in Europe, International Institute for Labour Studies, Geneva, 1986.
27. Schwartz B., The Administrative Courts in France, 1951 29-4 Canadian Bar Review 381, 1951 CanLIIDocs 59.
28. Zimmer M.B., Overview of Specialized Courts, International Journal for Court Administration, 2009.
30. Sramek v. Austria [1984] ECHR, [26.02.2025]. <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57581%22]}> [26.02.2025].
31. S.C. against the United Kingdom, [2004] ECtHR, <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-23434%22]}> [26.02.2025].
32. T. and V. against United Kingdom, [1999] ECtHR, <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-83696%22]}> [26.02.2025].